



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ღვალი თამაზ პიშენის ძე



თ. ღვალი

ღვალი თამაზ პიშენის ძე (დ. 3. I. 1949, თბილისი), არქიტექტორი. საქართველო. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1993). 1971 დაამთავრა საქართველო. პოლიტექ. ინ-ტი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო საქართველო. მეცნ. აკად. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნ. ისტ. ინ-ტში არქიტექტორად, 1976-იდან ამავე ინ-ტის მეცნ. თანამშრომელია, ხოლო 1986-იდან 2006-მდე – ძეგლთა აღნუსხვის განყ-ბის გამგე, 1987- იდან პარალელურად მუშაობს ქართ. ენციკლოპედიის მთავარ სამეცნ. რედაქციაში. 1997-იდან საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქციის გამგეა.

მიაკვლია, აზომა და შეისწავლა მრავალი ხუროთმოძღვრული ძეგლი. არის რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლის რესტავრაციის პროექტის თანაავტორი, „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ მე-2 წიგნის (თბ., 2004) რედაქციის ხელმძღვანელი, გამოცემა „ქართული ხუროთმოძღვრების“ (ძველი ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლთა დოკუმენტური ასახვა მიკროფილმებზე – 47000 ფოტოსურათით, ტ. 1-8, ლეიდენი, 1994–2011, ინგლ. ენაზე) მოთავე და ხელმძღვანელი. კრებულის I-მა ტომმა მიიღო საქართველო. სახელმწ. პრემია (1996). სამეცნ. გამოკვლევები მიუძღვნა ცხვარიჭამიას, ბენისის, ვაჩნაძიანის ტაძრებს. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. სტატია.

თხზ.: ოშკი, თბ., 2009; იშხანი, თბ., 2010; ოთხთა ეკლესია, თბ., 2011.